საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ასარჩევად
საქართველოს პარლამენტისათვის წარსადგენი სამოსამართლო გამოცდილების არმქონე
მოსამართლეობის კანდიდატის შეფასების ფორმა

მოსამართლეობის კანდიდატის *კახაბერ სოფრომაძის* ---------- შეფასების შედეგი:

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით	
მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☐
მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს	☒

მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით		
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20
პროფესიული თვისებები	14	15
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10
პროფესიული აქტივობა	5	5
ქულათა ჯამი	89	100

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

კახაბერ სოფრომაძე

შეფასების დასაბუთება

საქართველოს უზენაესი სასამართლოს მოსამართლის შესარჩევ კონკურსში მონაწილე კანდიდატის კახაბერ სოფრომაძის შეფასების დასაბუთების შედგენის პროცესში ვიხელმძღვანელე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 34[1] მუხლის მე-11 პუნქტით დადგენილი წესით.

<table>
<tr><th colspan="2">მოსამართლეობის კანდიდატის შეფასება კეთილსინდისიერების კრიტერიუმის მიხედვით</th><th>კომენტარი</th></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი არ აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td><td rowspan="3">კანდიდატის კეთილსინდისიერების კრიტერიუმით შეფასება ეფუძნება სხვადასხვა უწყებებიდან გამოთხოვილ ინფორმაციას, კერძოდ:

- საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მონაცემებს კანდიდატის ადმინისტრაციული სამართალდარღვევების თაობაზე;

- სს „კრედიტინფო საქართველოს“ მოწოდებულ სრულ პერსონალურ საკრედიტო ინფორმაციას;

- საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის მონაცემებს კანდიდატის შემოსავლების შესახებ;

- საჯარო სამსახურის ბიუროში კანდიდატის მიერ წარდგენილ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარაციას;</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☐</td></tr>
<tr><td>მოსამართლეობის კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს</td><td>☒</td></tr>
</table>

		- კანდიდატის სამუშაო ადგილიდან (საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტო) მოწოდებულ ინფორმაციას კანდიდატის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შესახებ; აგრეთვე, მხედველობაში მივიღე კანდიდატის დახასიათების მიზნით წარმოდგენილი რეკომენდაციები და კანდიდატთან სამსახურებრივ და პირად ურთიერთობაში მყოფი პირებისგან გამოთხოვილი (სპეციალური კითხვარის ფორმით შედგენილი) დახასიათებები. გარდა ამისა, ვეყრდნობი კანდიდატთან გამართულ უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას. **1. პიროვნული კეთილსინდისიერება და პროფესიული სინდისი:** მოძიებული მასალების თანახმად, კანდიდატის შემოსავლების დაუსაბუთებლობის ან უკანონობის ნიშნები არ გამოვლენილა. საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შემოსავლების სამსახურის ინფორმაციით 2020 წლის 11 ნოემბრის მდგომარეობით კანდიდატს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის მიმართ დავალიანება არ ერიცხება. შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატს დაშვებული აქვს შვიდი,

		საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 118[1] მუხლით გათვალისწინებული, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6 ნაწილით გათვალისწინებული ოთხი, საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-6[2] ნაწილით გათვალისწინებული და საქართველოს ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა კოდექსის 125-ე მუხლის მე-8 ნაწილით გათვალისწინებული სამართალდარღვევა. ხსენებული ერთ შემთხვევაში კანდიდატს მიეცა გაფრთხილება, ხოლო ექვს შემთხვევაში ადმინისტრაციული სამართალდარღვევას აქვს ვადაგასულის სტატუსი. ზემოხსენებული მონაცემების, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებით, კანდიდატი არის კეთილსინდისიერი, მოწესრიგებული და გამოირჩევა პროფესიული ცოდნის მაღალი დონით. ხელთარსებული მონაცემებისა და დახასიათებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს პიროვნული კეთილსინდისიერების პროფესიული სინდისის მახასიათებელს. **2. დამოუკიდებლობა, მიუკერძოებლობა და სამართლიანობა**

		გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილებითა და შესწავლილი მასალის ანალიზის შედეგად, უნდა ითქვას, რომ კანდიდატის პოლიტიკური ან სხვაგვარი მიკერძოებულობის, ასევე სხვადასხვა რელიგიის, რასის, ეროვნების, სოციალური, ეკონომიკური მდგომარეობის ადამიანებისადმი ტენდენციური ან შეუწყნარებელი დამოკიდებულების ნიშნები არ იკვეთება. გასაუბრებისას კანდიდატი ცდილობდა ყოველი დასმული საკითხი განეხილა ღიად და მოეხდინა მათი ობიექტური ანალიზი. კახაბერ სოფრომაძის დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და სამართლიანობის უნარს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. გასაუბრებაზე კანდიდატის მიერ ჩამოყალიბებული მოსაზრებების გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ შესწევს დამოუკიდებლად დასკვნის გაკეთების და საკუთარი პოზიციის მეტნაკლებად დაცვის უნარი. **3. პიროვნული და პროფესიული ქცევა** წარმოდგენილი მასალების შესწავლითა და გასაუბრებით მიღებული შთაბეჭდილების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი თავდაჭერილი და თავაზიანი ადამიანია. თითოეულ საკითხზე მსჯელობისას ამჟღავნებდა თანმიმდევრულობას და კორექტულობას. კანდიდატს პოზიტიურად აფასებენ რეკომენდატორები და გამოკითხული პირები. არსებული ინფორმაციით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს მომსახურების სააგენტოში მუშაობის პერიოდში

		კახაბერ სოფრომაძის მიმართ დისციპლინური დევნა ან/და ადმინისტრაციული წარმოება არ განხორციელებულა. კანდიდატი სასამართლოში მხარედ არ გამოსულა. მის მიმართ სისხლისსამართლებრივი წარმოება არ განხორციელებულა. **4. პიროვნული და პროფესიული რეპუტაცია** კანდიდატის რეკომენდატორებისა და მასთან პიროვნულ და პროფესიულ ურთიერთობაში მყოფი პირების დახასიათება-შეფასებების მიხედვით, შემიძლია დავასკვნა, რომ კანდიდატი სარგებლობს კარგი პიროვნული და პროფესიული რეპუტაციით და პროფესიონალი იურისტის სახელით. კოლეგები განსაკუთრებულად უთითებენ მის ხანგრძლივ გამოცდილებას არასამთავრობო ორგანიზაციას, ადვოკატურასა და იუსტიციის უმაღლეს საბჭოში. კანდიდატის შესახებ ინტერნეტში არსებობს ინფორმაცია როგორც ადვოკატის საქმიანობის შესახებ. ასევე, მედიაში გაშუქებულია ინფორმაცია მისი არჩევა/საქმიანობა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს წევრად და უზენაესი სასამართლოს მოსამართლის კონკურსში მონაწილეობა. კანდიდატი სარგებლობს სოციალური ქსელით და გამოქვეყნებული აქვს პოლიტიკური შინაარსის ინფორმაციები. ერთ-ერთი რეკომენდატორი კახაბერ სოფრომაძის სისუსტედ ასახელებს იმას, რომ იგი არის მიმტევებელი ,,რბილი“ ხასიათის ადამიანი, თუმცა ამასთანავე, უთითებს რომ აღნიშნული შესაძლებელია მოსამართლისთვის დადებით თვისებებად წარმოჩინდეს. ჩემი აზრით, ვინაიდან

		რეკომენდატორი არ უთითებს, თუ რაში გამოიხატება კანდიდატის ,,რბილი“ და მიმტევებლური ხასიათი და აღნიშნული თვისებები მხოლოდ მისი ინდივიდუალური შეფასების საგანია, კანდიდატთან მიმართებით ვერც პოზიტიურ და ვერც ნეგატიურ კონტექსტში განიხილება. რეკომენდატორებსა და გამოკითხულ პირებს კანდიდატის სხვა პიროვნულ ან პროფესიულ ნაკლოვანებებზე არ მიუთითებიათ. **5. ფინანსური ვალდებულება** მოძიებული ინფორმაციის მიხედვით, კახაბერ სოფრომაძეს საკრედიტო, ან სხვა სახის მიმდინარე ვადაგადაცილებული ფინანსური (მათ შორის ბიუჯეტის მიმართ) ვალდებულება არ გააჩნია. მეწარმეთა და არასამეწარმეო იურიდიულ პირთა რეესტრში რეგისტრირებულია პარტნიორად და ასევე, არის სოფრომაძეთა საგვარეულო კავშირის გამგეობის თავმჯდომარე. როგორც უკვე აღინიშნა, შესაფასებელი პერიოდის განმავლობაში კანდიდატმა დაუშვა შვიდი ადმინისტრაციული სამართალდარღვევა. ექვს შემთხვევაში დაეკისრა ადმინისტრაციული სახდელი (ჯარიმა) თუმცა, შინაგან საქმეთა სამინისტროს საინფორმაციო-ანალიტიკური დეპარტამენტიდან გამოთხოვილი ინფორმაციის თანახმად აღნიშნული ადმინისტრაციული სამართალდარღვები ვადაგასულია, ხოლო ერთ შემთხვევაში გამოეცხადა გაფრთხილება.

			საბოლოოდ, ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, მიმაჩნია, რომ კანდიდატი სრულად აკმაყოფილებს კეთილსინდისიერების კრიტერიუმს.
მოსამართლეობის კანდიდატის	**შეფასება კომპეტენტურობის კრიტერიუმის მიხედვით**		**კომენტარი**
კრიტერიუმი	**მიღებული ქულა**	**მაქსიმალური ქულა**	
სამართლის ნორმების ცოდნა	20	25	<u>სამართლის ნორმის ცოდნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის ანალიზს და კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას.</u> აღნიშნულზე დაყრდნობით, შეიძლება ითქვას, რომ კახაბერ სოფრომაძე ფლობს საქართველოს სამოქალაქო, ადმინისტრაციული და სისხლის სამართლის როგორც მატერიალური, ისე საპროცესო სამართლის თეორიულ საფუძვლებს და გააჩნია მათი საგნობრივი ანალიზის უნარი. თუმცა გასაუბრების მიმდინაროებისას კადიდატის პასუხები არ იყო სრულყოფილი და დამაჯარებელი, დასმულ საკითხზე

			საუბრობდა ზოგადად, შეინიშნებოდა კითხვების შინაარსიდან გამომდინარე დაბნეულობა, ამასთან, კანდიდატს კონკრეტული სამართლებრივი პრობლემების განხილვისას არ მოუხმია ეროვნული და ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს შესაბამისი პრაქტიკა. ასევე საკონსტიტუციო სამართლის მნიშვნელოვან საკითხებზე არ ჰქონდა დამაჯერებელი და ამომწურავი პასუხები.
სამართლებრივი დასაბუთების უნარი და კომპეტენცია	23	25	<u>სამართლებრივი დასაბუთების უნარისა და კომპეტენციის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებასა და მისი პროფესიული გამოცდილების შეფასებას.</u> მიმაჩნია, რომ შესწავლილ სამართლებრივი ნაშრომი კანდიდატის მიერ დასაბუთებულია კვალიფიციურად. თვალსაჩინოა, რომ კანდიდატს შეუძლია დაინახოს მნიშვნელვანი სამართლებრივი საკითხი, მოახდინოს მასზე კონცენტრირება და ანალიზი. კანდიდატს გააჩნია თანმიმდევრული მსჯელობისა და განხილული მასალის საფუძველზე შესაბამისი ლოგიკური დასკვნის გაკეთების უნარი. თუმცა გასაუბრების მიმდინარეობისას ზოგიერთი სამართლებრივი საკითხის განხილვისას კანდიდატს გაუჭირდა საკუთარი მოსაზრების მყარად და არგუმენტირებულად დასაბუთება.

			კახაბერ სოფრომაძეს 20 წლიანი პროფესიული გამოცდილება დაკავშირებულია კერძო და საჯარო სექტორში სხვადასხვა თანამდებობებზე საქმიანობასთან (მათ შორის, კანდიდატი იყო იუსტიციის უმაღლესის საბჭოს წევრი 2013-2017 წლებში). კანდიდატს სამოსამართლო პრაქტიკა არ გააჩნია.
წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარი	17	20	<u>წერისა და ზეპირი კომუნიკაციის უნარის მახასიათებლით შეფასება ეფუძნება მის მიერ წარმოდგენილი სამართლებრივი ნაშრომის ანალიზს, კანდიდატთან ჩატარებული უშუალო გასაუბრებით მიღებულ შთაბეჭდილებას, რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> შედეგად, მივიჩნევ, რომ კანდიდატი ძირითადად მეტყველებს გარკვევით, საუბრისას გაწონასწორებული და თავაზიანია. გააჩნია დასმული შეკითხვის არსის აღქმისა და სხვის მიერ გამოთქმული აზრის მოთმინებით მოსმენის უნარი. ზოგადად, დატოვა, მოწესრიგებული, ტაქტიანი და კომუნიკაბელური ადამიანის შთაბეჭდილება. კანდიდატი აზრს გადმოსცემს ძირითადად თანმიმდევრულად და გამართულად. სამართლის მატერიალურ და საპროცესო ნორმათა შინაარსს ზეპირსიტყვიერად, როგორც წესი, გადმოსცემს გასაგებად. კანდიდატის სამართლებრივი ნაშრომი შესრულებულია გასაგები ენით და იკითხება ადვილად. აზრი მკაფიოდ და გარკვევით არის გადმოცემული. მიმაჩნია, რომ წერილობითი მასალა საჯარო სამართლის მიმართულებით დაინტერესებული პირისათვის რთულად აღსაქმელი არ არის.

			შესწავლილ მასალაში თვალსაჩინო გრამატიკული ან რედაქციული ხასიათის შეცდომები არ გამოვლენილა. ამ მხრივ კანდიდატს პოზიტიურად ახასიათებს როგორც იუსტიციის უმაღლესი სკოლის დამოუკიდებელი საბჭო, ისე რეკომენდატორები და გამოკითხული პირებიც.
პროფესიული თვისებები	14	15	<u>პროფესიული თვისებების მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> აღნიშნულის საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ კახაბერ სოფრომაძე მიზანდასახული, მოწესრიგებული, პუნქტუალური და შრომისმოყვარე პიროვნებაა. ამასთან, პატივისცემით ეკიდება სხვათა მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს.
აკადემიური მიღწევები და პროფესიული წვრთნა	10	10	<u>აკადემიური მიღწევებისა და პროფესიული წვრთნის მახასიათებლით კანდიდატის შეფასებისას დავეყრდენი რეკომენდატორებისა და გამოკითხული პირების დახასიათებებს.</u> კანდიდატს ჩაბარებული აქვს მოსამართლის საკვალიფიკაციო გამოცდა სამოქალაქო და ადმინისტრაციული სამართლის სპეციალიზაციით (2007 წელს), პროკურატურის მუშაკთა საკვალიფიკაციო გამოცდა (2003 წელს), ადვოკატთა საკვალიფიკაციო გამოცდა საერთო სპეციალიზაციით (2004 წელს) და საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაციის მოხელის გამოცდა (2005, 2013 წლებში). 2017 წელს მიენიჭა იუსტიციის

			მრჩევლის სახელმწიფო სპეციალური წოდება. კანდიდატს ახასიათებენ მუდმივად ნოვატორული იდეების და სიახლეების ძიებაში მყოფ ადამიანს, რომელიც მუდმივად ზრუნავს საკუთარი პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესებაზე. კანდიდატი მონაწილეობდა სამართლებრივი საკითხებზე მოწყობილ სამ ტრენინგსა და ორ სემინარში. მიმაჩნია, რომ კანდიდატს შეუძლია საკუთარი ცოდნისა და პროფესიული უნარების რეალიზება.
პროფესიული აქტივობა	5	5	<u>პროფესიული აქტივობის მახასიათებლით კანდიდატის შეფასება ეფუძნება მის მიერ მოწოდებულ ინფორმაციას.</u> კანდიდატი ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას.
ქულათა ჯამი	89	100	

სახელი, გვარი: ვასილ მშვენიერაძე

თარიღი : 27.05.21

ხელმოწერა